



ვეთერინართა რეგიონული ასოციაციის წევრთა პირველი ერთობლივი შეხვედრა გაიმართა. აღნიშნული შეხვედრა, აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ცხოველთა ჯანმრთელობის პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ადგილობრივად საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა ახორციელებს, ასოციაციების მართვის ცენტრის ორგანიზებით მოეწყო. შეხვედრა მიზნად ისახავდა ვეტერინართა რეგიონული ასოციაციების მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ კოორდინაციის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებას, რეგიონულ ასოციაციებს შორის კომუნიკაციის გაძლიერებას, საერთო პრობლემების შესახებ მსჯელობას, არსებული მდგომარეობის შეფასებას და მომავალი განვითარების გეგმების შემუშავებას. ყახეთის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და შიდა ქართლის ვეტერინართა რეგიონული ასოციაციის გამგეობის წევრების გარდა, სამუშაო შეხვედრას, დამკვირვებლის სტატუსით, ესწრებოდა აჭარის რეგიონის წარმომადგენელი. აღნიშნულმა ინიციატივამ ცხადყო, რომ ვეტერინართა რეგიონული ასოციაციები გადავიდნენ განვითარების განსხვავებულ ეტაპზე და წევრთა ინსტიტუციური ცნობიერება მნიშვნელოვნად გაზრდილია.



საქართველოში ნარეზიანი ვეტერინართა რეგიონული ასოციაციები

სამეგრელო-ჯავა სვანეთი

მის: შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სენაქის ფილიალი.
თავმჯდომარე - ბესო გოგოლი
ტელ.: 599 501 807

ქახეთი

მის: ყაჭრეთის საზოგადოებრივი კოლექტივი "ასი" გურჯაანი
თავმჯდომარე - აკაკი ელანძე
ტელ.: 593 609 638

შიდა ქართლი

მის: სოფელ ფხვინისის სოციო ეკონომიკური ზონა, გორი
თავმჯდომარე - არსენ ნოზაძე
ტელ.: 593 735694

სამცხე-ჯავახეთი

მის: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ახალციხე
თავმჯდომარე - შოთა ყულჩანიშვილი
ტელ.: 551 972 900

მომზადებულია ასოციაციების მართვის მანუალის მიხედვით

მის.: საქართველო, თბილისი, 0177, თამარაშვილის ქ. №13
ტელ. 2 91 06 07

ნარეზიანი ისტორია

სამეგრელო-ზემო სვანეთის ვეტერინართა რეგიონული ასოციაციის წევრებმა, ცხოველთა ჯანმრთელობის პროგრამის ვეტერინარ კონსულტანტის - ამირან კოჩიაშვილის დახმარებით, რუმინოლოგიის ოპერაციის შედეგად, ჰოლშტაინოფრიზის ჯიშის ძროხა გადაარჩინეს. სპეციალისტებმა ფურს ორგანიზმიდან 2 კილოგრამამდე მეტალი და გაუხეშებული თოქი ამოუღეს.

ცხოველთა მწვანე საფარის, საყვების, ვიტამინებისა და მინერალების გადარიბებას უკავშირდება მსხვილფეხა პირუტყვის ტრავმული პერიარტიკულის შემთხვევები. 2010 წლიდან ცხოველთა ჯანმრთელობის პროგრამის ფარგლებში, პარტნიორ ვეტერინართა რეგიონული ასოციაციის წევრებისათვის იმართება თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები ცხოველთა სხვადასხვა დაავადებების შესახებ.

ფერმაში პრაქტიკული მეცადინეობების დროს ვეტერინართა ჯგუფი ცხოველთა მრავალ დაავადებებსა და უტილიურ შემთხვევებს აწყდება. თანამედროვე საოპერაციო ტექნიკის დანერგვის შედეგად, მოხერხდა არაერთი წარმატებული ოპერაციის ჩატარება, რითაც ფაქტობრივად თავიდან იქნა აცილებული ცხოველთა ფატალური შემთხვევები.


სამეგრელოში, მსხვილფეხა პირუტყვზე ჩატარებული წარმატებული ოპერაციისა და ოპტიმალური პოსტოპერაციული მოვლის შედეგად, ცხოველი 2 კვირაში სრულად გამოჯანმრთელდა.


აღნიშნული შემთხვევის შედეგად ასოციაციის წევრმა ვეტერინარებმა გაუმჯობესეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები მსხვილფეხა პირუტყვის ტრავმული პერიარტიკულის ოპერაციული ტექნიკის და მყურნალობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მალაქპროდუქტიული პირუტყვის დაჯარჯვით გამოწვეული ზარალი ფერმერებისთვის სავალალო შედეგების მომტანია. ცხოველთა ჯანმრთელობის პროგრამის ფარგლებში კერძო პრაქტიკოსი ვეტერინარების კვალიფიკაციის ამაღლებამ და მყურნალობის თანამედროვე პრაქტიკის დანერგვამ, ხელი შეუწყო ფერმერ-კლიენტთა დანაჯარგების მინიმუმამდე შემცირებას.



ინოვაცია ქახეთის რეგიონში

ყახეთის ვეტერინართა რეგიონული ასოციაცია, ფერმერებს, ცხვრის შემკრები თანამედროვე მოწყობილობის გამოყენებით კვალიფიციურ ვეტერინარულ მომსახურებას სთავაზობს. აღნიშნული მოწყობილობა საგრძნობლად ამცირებს ფერმერისა და ვეტერინარის შრომას და უფრო სწრაფსა და უსაფრთხოს ხდის ცხოველისთვის ვაქცინაციისა და სხვა პროფილაქტიკური ღონისძიების განხორციელებას. ასოციაციების მართვის ცენტრმა ცხვრის შემკრები მოწყობილობა საერთაშორისო ორგანიზაცია "ფლორა და ფაუნას" მხარდაჭერით დიდ ბრიტანეთში შეიძინა. დღეისათვის ვეტერინარს საშუალება აქვს ყახეთის მეცხვარეებს შესთავაზოს ცხვრის ინფექციურ და ინვაზიურ დაავადებებზე პრევენციული ღონისძიებების მომსახურების ჰაყეტი.





2013 წელს ევროკავშირის სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ - (FAO), ადამიანის ჯვებაში რძის და რძის პროდუქტების მნიშვნელობის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა. რძის და ზოგადად რძის პროდუქტების წარმოება ყველაზე რთულ მრეწველობით სექტორად ითვლება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ბოლო ათწლეულის მანძილზე შეიმჩნევა რძის წარმოების 2.1%-ით ზრდა. მოთხოვნა რძესა და რძის პროდუქტებზე მსოფლიოში დაკავშირებულია მოსახლეობის ზრდასთან და ჯვების რაციონში რძის პროდუქტების მატებასთან. მოცემული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ 2025 წელს რძის პროდუქტებზე მოთხოვნა 25% მდე გაიზარდება. მსოფლიოში რძის წარმოების საერთო მაჩვენებლის 84% ძროხის რძეზე, ხოლო დანარჩენი 16% თხის, ცხვრისა და აქლემის რძეზე მოდის.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის ისეთი ძირითადი რისკები, როგორებიცაა საკვების ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური უსაფრთხოება, რძესა და რძის პროდუქტებს უკავშირდება. ბიოლოგიურ საფრთხეს რძის პროდუქტების გამოყენებისას წარმოადგენს სხვადასხვა ბაქტერიები. რძის პროდუქტების ძირითადი პათოგენებია: *Bacillus cereus*, *Brucella abortus*, *Cronobacter spp*, *Escherichia coli*, *Campylobacter jejuni*, *Listeria monocytogenes*, *Micobacterium bovis*, *Salmonella spp*, *Staphylococcus aureus*, *Streptococcus zooepidermicus*, *Yersinia enterocolitica*, *Coxiella burnetii*. ქიმიურ საფრთხეში ითვლება რძეში ვეტერინარული პრეპარატების, ანტიბიოტიკების, პესტიციდების, ინსექტიციდების, მცენარეების ღებინფექტანტების, მიაოტოქსინების, დიოქსინის, საკვებ დანამატების, მელანინის შემცველობა. კვლევაში აღნიშნულია ანტიბიოტიკების უარყოფითი მოქმედება რძის მჟავიანობაზე, ყველისა და იოგურტის საგემოვნო და ხარისხობრივ მაჩვენებელზე.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა დღეს მუშაობს ან ნერგავს რისკის მართვის სისტემებს სურსათის უვნებლობის მიმართულებით, აღნიშნული სისტემის განხორციელებაში მთავარი როლი სახელმწიფო სტრუქტურებს ენიჭება. ერთიანი მიზანმიმართული სისტემა მოიცავს ცხოველის საკვების მომწოდებლებს, ფერმერებს, ვეტერინარული ზედამხედველობის და გადაამუშავების რეგულაციის მონიტორინგს და კონტროლს. BCG Research-ს კვლევის ფარგლებში საქართველოში გამოკითხული 300 ადამიანიდან 50,5% ყოველდღიურად მოიხმარს რძის ნაწარმს. საქართველოში ბოლო წლებში გაძლიერდა ინტერესი მოსახლეობის მხრიდან სურსათის უვნებლობის და სასურსათო პროდუქციის ხარისხის მიმართულებით.


მეცხოველეობა

მსოფლიო მოსახლეობის ზრდა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, უზრუნველყოფს და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ტენდენცია იწვევს მეცხოველეობის პროდუქციაზე მოთხოვნის გაზრდას. ამჟამინდელი მოთხოვნა სავარაუდოდ 70%-ით გაიზარდება, ვინაიდან 2050 წლისათვის მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა 9.6 მილიარდს მიაღწევს. გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გამოიყენება მეცხოველეობის პროდუქციის გაზრდის თანამედროვე მეთოდები, თუმცა პარალელურად მუშაობს ტრადიციული სისტემაც. მეცხოველეობის სექტორი იძლევა მალაღობრივ ბულებით საკვებს და ასრულებს ბევრ სხვა ეკონომიკურ და სოციალურ ფუნქციებს, თუმცა მის მიერ გამოყენებული რესურსები საკმაოდ დიდია. მეცხოველეობის სექტორი მსოფლიოში, საძოვრებისა და მარცვლეული კულტურის უტილიზაციის მხრივ, სასოფლო-სამეურნეო მიწის ყველაზე დიდი მომხმარებელია. ბუნებრივი რესურსები, რომელიც საჭიროა სოფლის მეურნეობისათვის თანდათან იშვიათდება და კლიმატური ცვლილებების გამო მისი მოცულობა თანდათან მცირდება.

მეფრინველეობა

პირველი ფრინველი, რომელიც ადამიანმა მოიპოვა და ასობით წელია სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის ძირითად საკვებს წარმოადგენს არის ქათამი. მეფრინველეობა საქართველოში მეტწილად ყველა რეგიონშია განვითარებული. ბოლო ათწლეულის განმავლობაში გაიზარდა მოთხოვნა ფრინველის ჰიბრიდულ ჯიშებზე. დღეს საქართველოში შესაძლებელია ბრამის ჯიშის ქათმის შეძენა. ბრამის ჯიშის ჰიბრიდული ქათამი პროდუქტიულია როგორც მეხორციელი, ასევე მეკვერცხული მიმართულებით. ზრდასრული მამალი 5 კილოგრამზე მეტს იწონის, ხოლო დედალი, წლის განმავლობაში 150 კვერცხზე მეტს დებს. გაორმაგებული პროდუქტიულობა ბალანსირებულ კვებასაც მოითხოვს, შესაბამისად ბრამის ჯიშის ქათმის გამოკვება უმჯობესია მოხდეს მზა საკვებით ან მარცვლეული კულტურებში საკვებდანამატების გამოყენებით. ბრამი ჯარგი ქრუხი და ადვილად ეგუება ხელოვნურად (ინკუბატორში) გამოჩეკილი წინილების ნამატსაც.

საკალმახე მეურნეობა



საქართველოში ბოლო წლებია საკალმახე მეურნეობების რაოდენობის ზრდა შეინიშნება, რასაც ადგილობრივი წარმოების კალმახე გაზრდილი მოთხოვნა განაპირობებს. ქვეყნის ბუნებრივი პირობები, წყლის რესურსები და რბილი ამინდი საუკეთესო სარეკრავიულ ზონად ფასდება, ხოლო კალმახის სწრაფი ინკუბაციური პერიოდი ხელსაყრელ გარემოს ქმნის ბიზნესის წარმოებისთვის.

კალმახის საუკეთესო ენერგეტიკული და დიეტური თვისებებით ხასიათდება. ცისარტყელა კალმახი, ისევე როგორც მდინარის კალმახის სახეობები ცივი წყლის თევზია, მაგრამ ჯარგად იზრდება ჯანგალობით გამდიდრებულ, თბილი წყლის აუზებსა და ტბორებში. ცისარტყელა კალმახის ჯვების და ზრდისთვის საუკეთესო ტემპერატურად ითვლება 16-18 გრადუსი. ლიფსიგების წონა 25-30 გრამამდე აღწევს, ერთი წლის კალმახი 100-125 გრამია, ხოლო ორი წლის ასაკში 200 გრამამდე იწონის. საქართველოში რამდენიმე სანაშენე მეურნეობა და

უკვე ბიზნესის საწყის ეტაპზე შესაძლებელია ხელსაყრელ პირობებში გამოყვანილი ლიფსიგების თუ სანაშენე ზრდასრული თევზის შეძენა.

საკალმახე მეურნეობის მშენებლობის საწყის ეტაპზე გასათვალისწინებელია გარემო არე, ბუნებრივი საფარის, ტბორის ან აუზის მდებარეობის, წყლის რესურსების ხელმისაწვდომობის და აუზის განმუხდლასთან დაკავშირებული საკითხები. კალმახის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობის თვალსაზრისით მთავარ როლს წყალი ასრულებს. საკალმახე მეურნეობის დავაგმარების პროცესში გასათვალისწინებელია წყლის ჯანგალობით გაჯერების კოეფიციენტი ან საჭირო მოწყობილობა, წყალში ქლორის შემცველობა და წყალბად-იონთა კონცენტრაციის მაჩვენებელი. კალმახის სასურსათო მახასიათებლები ძირითადად დაკავშირებულია წყალში სხვადასხვა საშიში ქიმიური ნივთიერებების შემცველობასა და მათ კონცენტრაციაზე. შესაბამისად, საკალმახე მეურნეობით დაინტერესებულმა პირმა უნდა შეაფასოს ხელთ არსებული რესურსები და კონსულტაცია გააჩინოს შესაბამის სპეციალისტთან.